

**საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული ლობისტური მომსახურება 2012-2016**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ [აგრძელებს](#) ლობისტური საქმიანობისა და ამ მიზნით პოლიტიკური ჯგუფების მიერ გაწეული დანახარჯების შესწავლას. ლობისტური მომსახურების მიღებისთვის გაწეული საქმიანობის და ხარჯების მონიტორინგი ანტიკორუფციული პოლიტიკის ზედამხედველობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ მხრივ საქართველოში არსებულ ვითარებას ნაწილობრივ მიმოიხილავს “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” მიერ 2015 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული [კვლევა](#) ანტიკორუფციული კანონმდებლობის პრაქტიკაში შესრულების შესახებ. წარმოდგენილ კვლევაში კი საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ჯგუფების მიერ 2011 წლიდან დღემდე ქვეყნის გარეთ მიღებული ლობისტური მომსახურებაა განხილული. კორუფციული რისკების შემცირების თვალსაზრისით ლობისტურ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მონიტორინგის მნიშვნელობის მიუხედავად, **მთავრობის ადმინისტრაციამ კანონი დაარღვია და არ მოგვაწოდა ამ საკითხთან დაკავშირებით გამართოველი ინფორმაცია.** „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მთავრობის ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება სასამართლოში აქვს გასაჩივრებული.



კვლევის ფარგლებში “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” დაინტერესდა მთავრობისა და სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მიერ ევროპასა და აშშ-ში მიღებული ლობისტური მომსახურებით. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შსს-ს, პარლამენტის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ ისეთ საკითხებზე, როგორცაა არალიარების პოლიტიკის მხარდაჭერა, უკანონო ბორღერიზაციისა და საოკუპაციო ხაზის გადმოწევისთვის წინააღმდეგობა, აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება, და ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის პროცესის ხელშეწყობა ან სხვა თემები, ლობისტური მომსახურება არ შეუსყიდათ. **ამავე თემაზე ინფორმაცია არ მიგვიღია მთავრობის ადმინისტრაციიდან და საგარეო საქმეთა სამინისტროდან.**

**ლობისტური მომსახურება ევროპასა და აშშ-ში**

საქართველოს მთავრობისა და პოლიტიკური ჯგუფების მიერ ევროპაში მიღებულ ლობისტურ მომსახურებაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, ვინაიდან მთავრობის ადმინისტრაციამ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ზოგიერთმა სხვა უწყებამ ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოგვაწოდეს. **ამავე თემაზე მონაცემები არ იძებნება [EU Integrity Watch](#) ბაზაში.**

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობისტურ საქმიანობას, ქართული პოლიტიკური ჯგუფები ამ საკითხით 1991 წლიდან არიან დაინტერესებულნი. წარმოდგენილი კვლევა ყურადღებას უთმობს უახლოესი პერიოდის - 2012-2016 წლების - მონაცემებს, ხოლო წინა პერიოდის მონაცემებზე ინფორმაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” წარსულში აქვს [გამოქვეყნებული](#). კვლევა ემყარება Center for Responsive Politics-ის პორტალის [www.opensecrets.org](http://www.opensecrets.org) და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდის [www.fara.gov](http://www.fara.gov) მონაცემთა ბაზებს. კვლევაში ასევე გამოყენებულია პრემიერის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

საქართველოდან პოლიტიკური ჯგუფები ლობისტურ საქმიანობაში ყველაზე აქტიურად 2012 წელს იყვნენ ჩართულები, თუმცა ამგვარი საქმიანობა 2013-2016 წლებშიც გრძელდებოდა. ამ პერიოდში დამკვეთ მხარეს წარმოდგენდნენ როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტი, ასევე პოლიტიკური პარტიები.



2016 წელს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებიდან ყველაზე აქტიური საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია გახლდათ.

პარტიული ჯგუფებიდან 2016 წელს მხოლოდ ქართული ოცნება აქტიურობდა, რომელმაც ოთხი ხელშეკრულება გააფორმა სამ კომპანიასთან - [Kglobal LLC](#), [Alpine Group](#), [Impact Management Group](#).

| ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი      | დამკვეთი   | დაქირავებული                     | ღირებულება | მიზანი   |
|---------------------------------------|--|----------------------------------|------------|--|
| <a href="#">29.08.2016-10.10.2016</a> | Impact Management Group, როგორც პოლიტიკური პარტია “ქართული ოცნება”-ის წარმომადგენელი | Kglobal LLC                      | 10 000 \$  | ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიასთან ურთიერთობის კოორდინირება “ქართული ოცნების” სასარგებლოდ.  |
| <a href="#">20.10.2016-30.11.2016</a> | Impact Management Group, როგორც პოლიტიკური პარტია “ქართული ოცნება”-ის წარმომადგენელი | Kglobal LLC                      | 10 000 \$  | -  |
| <a href="#">29.08.2016-08.10.2016</a> | Impact Management Group, როგორც პოლიტიკური პარტია “ქართული ოცნება”-ის წარმომადგენელი | Alpine Group                     | 22 500 \$  | 1. “ქართული ოცნების” პარტიის წევრებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობების გაუმჯობესება;<br>2. დისკუსიების მოწყობა ამერიკის შეერთებული შტატების policy maker-ებთან, თეთრი სახლის სენატისა და ადამინისტრაციის წარმომადგენლებთან.   |
| <a href="#">08/11/2016</a>            | ქართული ოცნება   | Impact Management Group          | 320 000 \$ | 1. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ლიდერებსა და “ქართული ოცნების” პარტიას შორის ურთიერთობების გაღრმავება და ამერიკული მხარისთვის დამკვეთის პოლიტიკური გზავნილების მიწოდება;<br>2. დასავლური მედია საშუალებების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე არჩევნებისა და საარჩევნო აქტივობების შესახებ;<br>3. ლოჯისტიკური საკითხების უზრუნველყოფა აშშ-ში “ქართული ოცნების” დელეგაციების ოფიციალური ვიზიტისას.   |
| <a href="#">01.04.2016-31.12.2016</a> | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია  | <a href="#">Shaw Pittman LLP</a> | 270 000 \$ | 1. საქართველოსთვის ხელის შეწყობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებისა და NATO-ში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ასევე მედიასა და opinion maker-ებთან ურთიერთობების კუთხით;<br>2. ამერიკის პოლიტიკური ლიდერების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ;<br>3. შეხვედრების ორგანიზება ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის;<br>4. ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა ამერიკის კონგრესთან, თეთრი სახლის წარმომადგენლებთან, პრეზიდენტის კანდიდატებსა და მათ მრჩეველებთან;<br>5. აშშ-ში საქართველოს საელჩოს დახმარებით, კოორდინაციის გაწევა, რომ შემოთხსენებულმა ჯგუფებმა საქართველოსადმი მხარდაჭერის დემონსტრირება მოახდინონ. |
| <a href="#">05.16.2016</a>            | საქართველოს მთავრობა   | <a href="#">Harbour Group</a>    | 160 000 \$ | 1. აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობებისა და NATO-ში ინტეგრაციის კუთხით მხარდაჭერა;<br>2. მედიასთან და Opinion Maker-ებთან ურთიერთობაში საქართველოსათვის ხელის შეწყობა;<br>3. შესაბამისი ღონისძიებებისა და შეხვედრების მოწყობა და ამერიკელი ლიდერების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.  |

2015 წელს კვლავ საქართველოს მთავრობა აქტიურობდა ყველა დანარჩენ ინსტიტუტს შორის და ხელშეკრულებები Harbour Group-თან და Shaw Pittman LLP-თან ჰქონდა გაფორმებული. პოლიტიკური პარტიებიდან 2015 წელს მხოლოდ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” აქტიურობა შეინიშნება, რომელთაც 15 000\$ ღირებულების ხელშეკრულება გააფორმეს Fianna Strategies-თან.

| ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი                        | დამკვეთი   | დაქირავებული      | ღირებულება | მიზანი  |
|---|--|-------------------|------------|---|
| <a href="#">01.09.2015</a> - <a href="#">01.09.2015</a> | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა                         | Fianna Strategies | 15.000\$   | <ol style="list-style-type: none"> <li>ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა;</li> <li>ენმ-ს ვიზიტებისა და მისი ლიდერების მხარდაჭერა აშშ-ში;</li> <li>ენმ-ს დახმარება პარტნიორების შექმნასა და ამერიკელ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დამყარებაში, მათ შორის, ადმინისტრაციასთან, აშშ-ს კონგრესთან, კვლევით ორგანიზაციებთან, მედიასთან და სხვა მსგავს ორგანიზაციებთან;</li> <li>მთავარი პოზიციების აშშ-სა და მისი პარტნიორებისთვის გაცნობა, მათ შორის, საქართველოს დემოკრატიის, უსაფრთხოების, სუვერენიტეტის, გერიტორიული ინტეგრაციის, ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციის მხარდაჭერა;</li> <li>შიდა პოლიტიკისა და სხვა მოვლენების შესახებ სიახლეებისა და დეტალების მიწოდება/გაცნობა.</li> </ol>   |
| <a href="#">01.04.2015</a> - <a href="#">03.31.2016</a> | საქართველოს მთავრობა / Shaw Pittman LLP-ის მეშვეობით | Harbour Group     | 240.000\$  | <ol style="list-style-type: none"> <li>საკონსულტაციო მომსახურება აშშ-საქართველოს ორმხრივ საკითხებთან დაკავშირებით. აქტივობები მოიცავს: აშშ-ს პოლიტიკის გამგარებელთათვის, მედიისთვის, ბიზნეს ლიდერებისთვის, ექსპერტებისთვის, აკადემიკოსებისთვის და სხვა ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული მიღწეული იქნება ინფორმაციული მასალის, პრეს-რელიზების, ინტერნეტის, მედიების, ბროშურების, წერილების, ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით.</li> </ol>   |
| <a href="#">04.01.2015</a> - <a href="#">03.31.2016</a> | საქართველოს მთავრობა                                 | Shaw Pittman LLP  | 550.000\$  | <ol style="list-style-type: none"> <li>საგარეო პოლიტიკის კუთხით რჩევებისა და დახმარების გაწევა აშშ-საქართველოს ორმხრივ საკითხებზე;</li> <li>საქართველოს მთავრობის დახმარება ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვან ჯგუფებთან ურთიერთობების დამყარებაში; აღნიშნული ჯგუფების მიერ საქართველოსთვის მხარდაჭერის დემონსტრირების შენარჩუნება;</li> <li>ვაშინგტონში საქართველოსთან დაკავშირებულ მოვლენებზე დაკვირვება და კლიენტისთვის ანგარიშის მიწოდება; საგარეო პოლიტიკასთან, დიპლომატიურ ურთიერთობებთან და საერთაშორისო საგარეო საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიული რჩევების მიწოდება;</li> <li>კლიენტის ან სხვა სამთავრობო ორგანოების მიერ საჯარო მასალის განხილვა, როგორცაა ანგარიშები, სტატიები და ა.შ.;</li> <li>კანონის უზენაესობის რეფორმებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების კომუნიკაციის მხარდაჭერა;</li> <li>მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ინიციატივებისთვის, მათ შორის აბრეშუმის გზის ფორუმისა და გაეროს გენერალური ანსამბლისთვის, დაგეგმვაში მხარდაჭერა;</li> <li>საქართველოში სასწავლო გურების მოწყობა საერთაშორისო ჟურნალისტებისთვის და მათი საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პირებთან შეხვედრა;</li> <li>შინაარსობრივი ინფორმაციის შემუშავებაში მხარდაჭერა, მათ შორის, პრეს-რელიზების, წერილების, და სფიზების მომზადება, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის.</li> </ol> |

FARA-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წელს სახელმწიფო ინსტიტუტებს არ დაუქირავებიათ არც ერთი ორგანიზაცია, ხოლო პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” გააფორმა

ხელშეკრულება ლობისტურ ორგანიზაციასთან.

| ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი                        | დამკვეთი                     | დაქირავებული      | ღირებულება | მიზანი  |
|---|------------------------------|-------------------|------------|---|
| <a href="#">28.04.2014</a> - <a href="#">30.09.2014</a> | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | Fianna Strategies | 42.000\$   | <ol style="list-style-type: none"> <li>საქართველოში დემოკრატიის, უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის გაძლიერება;</li> <li>ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკისა და პრიორიტეტების გაცნობა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისთვის, აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლებისთვის, კვლევითი ორგანიზაციებისთვის, მედიისთვის, პოლიტიკოსებისთვის და სხვა გავლენიანი წევრებისთვის;</li> <li>ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო აქტივობების მხარდაჭერა.</li> </ol> |

2013 წელს ყველაზე მეტად საქართველოს მთავრობა და პრემიერის ადმინისტრაცია აქტიურობდნენ. საყურადღებოა “სალომე ზურაბიშვილი საინიციატივო ჯგუფის” მიერ დადებული ხელშეკრულება Glover Park Group-თან, ამერიკის შეერთებული შტატებში მოღვაწე პოლიტიკოსებთან სტრატეგიული კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

სახელმწიფო ინსტიტუტებმა სულ ხუთი ხელშეკრულება გააფორმეს, რომელთაგან ორი საქართველოს პრემიერის ადმინისტრაციას ეკუთვნოდა, ორი კი მთავრობის ადმინისტრაციას.

| ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი                        | დამკვეთი                               | დაქირავებული           | ღირებულება | მიზანი  |
|---|--|------------------------|------------|---|
| <a href="#">09.11.2013</a> - <a href="#">12.31.2013</a> | საქართველოს მთავრობა                   | Harbour Group          | 20.000\$   | <ol style="list-style-type: none"> <li>კონსულტაციების გაწევა და მხარდაჭერა აშშ-ს მთავრობის პოლიტიკოსებთან და ლიდერებთან ურთიერთობისას, კავშირი მედიასთან, კვლევით ორგანიზაციებთან, ბიზნეს ლიდერებთან, ექსპერტებთან, აკადემიკოსებთან და ა.შ. მიზანი უნდა განხორციელებულიყო საინფორმაციო მასალისა და პრეს-რელიზების გავრცელების, ინტერნეტის, მედიების, ბროშურების, წერილების, ლექციების, ვებ-გვერდებისა და შეხვედრების მეშვეობით.</li> </ol>  |
| <a href="#">08.28.2013</a> - <a href="#">09.09.2013</a> | სალომე ზურაბიშვილის საინიციატივო ჯგუფი | Glover Park Group, LLC | 10.000\$   | სამთავრობო და საკომუნიკაციო კონსულტაცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე პოლიტიკოსებთან სტრატეგიული კომუნიკაციის დამყარება.   |
| <a href="#">03.15.2013</a> - <a href="#">12.31.2013</a> | საქართველოს მთავრობა                   | Squire Patton Boggs    | 440.000\$  | დაემატა მუხლი მედია კონსულტანტთან დაკავშირებით. კერძოდ, ფირმას უფლება ეძლევა დაიქირაოს მედია კონსულტანტი, რომლის მოვალეობები იქნება აშშ-ს პოლიტიკურ და სამოქალაქო ხელმძღვანელი პირების მიერ საქართველოს მიმართ მხარდაჭერის გაზრდა; მედია გაშუქების გაზრდა საგარეო პოლიტიკისა და პოლიტიკური მედიის კუთხით; საქართველოს საელჩოების ინიციატივების მხარდაჭერა. ახალი მედია საშუალებებისა და სამოგალოების ჩართვა საქართველოსთან დაკავშირებულ დისკუსიებში; კლიენტის მიერ დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულება. |
| <a href="#">03.11.2013</a>                              | საქართველოს პრემიერის ადმინისტრაცია    | Fianna Strategies      | 53.750\$   | <ol style="list-style-type: none"> <li>პრემიერის ადმინისტრაციის დახმარება მისი პროგრამებისა და მიზნების გაცნობა რელევანტური ამერიკელი საზოგადოებისთვის, მათ შორის აშშ-ს აღმასრულებელი შტოსთვის, აშშ-ს კონგრესისთვის, კვლევითი ორგანიზაციებისთვის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და მედიისთვის;</li> <li>საქართველოს პრემიერის ადმინისტრაციის მიერ გაგარებული პოლიტიკის მხარდაჭერა;</li> </ol>  |

|  |                           |                               |           |   |
|--|---------------------------|-------------------------------|-----------|---|
|  |                           |                               |           | <p>3. სტრატეგიული რჩევების მიცემა, ვებ-გვერდებისა და სიახლეების შემცველი მეილების შექმნა, ინფორმაციის მიწოდება ამერიკელი ჟურნალისტებისთვის და მედია საშუალებებისთვის;</p> <p>4. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრებისთვის რჩევების მიცემა სიგყვით გამოსვლასთან და საჯარო განცხადებებთან დაკავშირებით.</p>   |
| <p><a href="#">02.15.2013</a><br/><a href="#">08.15.2013</a></p>       | საქართველოს მთავრობა      | Squire Patton Boggs           | 540.000\$ | <p>1. აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობებისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის მხარდაჭერა;</p> <p>2. აშშ-ს მთავრობასა და კონგრესთან კომუნიკაცია, მედიასა და <b>opinion maker</b>-ებთან ურთიერთობების მხარდაჭერა, რეგულაციური ღონისძიებებისა და შეხვედრების მოწყობა;</p> <p>3. აშშ-სთვის საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.</p>   |
| <p><a href="#">12.09.2013</a><br/>-<br/><a href="#">10.31.2013</a></p> | პრეზიდენტის ადმინისტრაცია | The Ithaca Group LLC (Ithaca) | 200.000\$ | <p>1. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროგრამისა და მიზნების ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებისთვის გაცნობა, მათ შორის ადმინისტრაციისთვის, აშშ-ს კონგრესისთვის, კვლევითი და სხვა ორგანიზაციებისთვის, <b>policy maker</b>-ებისთვის და გაგუენიანი პირებისთვის და აშშ-ს მედიისთვის;</p> <p>2. ამერიკელი საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერება მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, სტრატეგიული რჩევების მიცემით, ვებ-გვერდებისა და საინფორმაციო შინაარსის მეილების შექმნით, ინფორმაციის აშშ-ს მედიისთვის და ჟურნალისტებისთვის გადაცემით.</p> <p>3. სიგყვით გამოსვლამდე რჩევების მიცემა და დახმარება საჯაროდ გამოსვლების დროს;</p> <p>4. შეხვედრების მოწყობა, მათთვის მომზადება და დასწრება კონგრესის წევრებთან და/ან აშშ-ს აღმასრულებელი ხელისუფლების წამომადგენლებთან ერთად.</p> |

2012 წელს ლობისგური ორგანიზაციების დამქირაველ სახელმწიფო ინსტიტუტებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და საქართველოს თავდაცვის სამინისტროც წარმოადგენდნენ. ასევე თანხა ირიცხებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისიდან და საქართველოს მთავრობიდან. სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ყველაზე აქტიური საქართველოს უშიშროების საბჭო გახლდათ. ამავე წელს ლობისგური საქმიანობები საქართველოს განათლების პოპულარიზაციის კუთხითაც ფინანსდებოდა, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საქართველოში ამერიკული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით და ქართულ სკოლებში ინგლისურენოვანი პროგრამების ხელშეწყობის კუთხით.

ამავე წელს დამქირაველის როლში ბიძინა ივანიშვილიც გვხვდება, რომელიც თავდაპირველად ინდივიდუალურად, შემდეგ კი პოლიტიკური პარტიის სახელით ღებდა შეთანხმებას სხვლასხვა ორგანიზაციასთან.

| ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი                        | დამკვეთი                              | დაქირავეული            | ღირებულება | მიზანი  |
|---|---------------------------------------|------------------------|------------|---|
| <p><a href="#">22.10.2013</a><br/><a href="#">2</a></p> | საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო | Fianna Strategies, LLC | 53.750\$   | <p>1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთვის (NSC) რჩევების მიცემის კუთხით დახმარება;</p> <p>2. NSC-ის დახმარება თავისი პროგრამებისა და მიზნების რეგულაციური ამერიკელი საზოგადოებისთვის, ადმინისტრაციისთვის, ასევე აშშ-ს კონგრესის, კვლევითი და სხვა სახის ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკოსებისა და მედიისთვის გაცნობის კუთხით;</p> <p>3. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკის მხარდაჭერა, სტრატეგიული რჩევების მიცემა, ვებ-გვერდებისა და ბიულეტენების შექმნით, აშშ-ს ჟურნალისტებისთვის და მედიისთვის ინფორმაციის მიწოდებით, რჩევების მიცემა NSC-ის ოფიციალური პირებისთვის საჯარო გამოსვლებისა და სიგყვით გამოსვლის დროს;</p> |

|   |   |                                   |             |   |
|---|---|-----------------------------------|-------------|---|
|   |   |                                   |             | 4. შეხვედრების მოწყობა აშშ-ს კონგრესთან და აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლებთან.  |
| <a href="#">07.12.2012</a>                              | ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება/ქოლიტიკური პარტია | Tedo Japaridze                    | -           | ადვოკატირება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებთან, მის პერსონალთან, და ობამას ადმინისტრაციის წევრებთან საქართველოს მთავრობის მიერ სადამსჯელო ღონისძიებასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელმა შეზღუდა ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებები და მის მფობელობაში არსებული "ქართუ ბანკის" უფლებები.  |
| <a href="#">26.01.2012</a> - <a href="#">26.11.2012</a> | ბიძინა ივანიშვილი, ქართული ოცნება/ქოლიტიკური პარტია | Squire Patton Boggs               | 1.600.000\$ | 1. რჩევების მიცემა და დახმარება საქართველოს მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით;<br>2. კონგრესისა და ადმინისტრაციის ყურადღების მიპყრობა საქართველოს მთავრობის მიერ გაგზარებული სადამსჯელო ღონისძიებისადმი, რომელიც ზღუდავს პირის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებას, ისევე როგორც მის მფლობელობაში არსებულ "ქართუ ბანკის" თავისუფლებას;<br>3. წარმომადგენლობა იმუშავეს კონგრესის წევრებთან, მის პერსონალთან და ობამას ადმინისტრაციის წევრებთან.  |
| <a href="#">09.01.2012</a> - <a href="#">31.12.2013</a> | საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისი                 | Fianna Strategies                 | 320.000\$   | 1. პრემიერ-მინისტრის ოფისისთვის რჩევების მიცემა, სტრატეგიული რჩევების გაცემა ამერიკის შეერთებული შტატების რელიევანტური აუდიტორისთვის, მათ შორის აღმასრულებელი შტოს ოფიციალური პირებისთვის, აშშ-ს კონგრესის წევრებისა და მომსახურე პერსონალისთვის, ჟურნალისტებისა და მედიისთვის, მკვლევარებისთვის, კვლევითი ორგანიზაციების ექსპერტებისთვის, საქართველოს მთავრობის პროგრამებთან, ინიციატივებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიღწეული იქნება ვებ-გვერდებისა და ბიულეტენების წერით;<br>2. საქართველოს მთავრობისთვის რჩევების მიცემა საჯარო გამოსვლასთან და სივცეით გამოსვლასთან დაკავშირებით;<br>3. საჭიროების შემთხვევაში, შეხვედრის ორგანიზება საქართველოს ოფიციალურ პირებს, პრემიერ-მინისტრსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს შორის. |
| <a href="#">11.09.2012</a> - <a href="#">31.11.2012</a> | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო                    | HDMK LLC                          | 50.000\$    | 1. თავდაცვის სფეროში საკონსულტაციო მომსახურება;<br>2. აშშ-ს ოფიციალური პირებისა და მედიისთვის საქართველოს შესახებ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ეხება აშშ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს;<br>3. პირდაპირი ინტერაქციის დამყარების ხელშეწყობა სამინისტროს ოფიციალურ პირებთან და რელიევანტურ ამერიკის ოფიციალურ სააგენტოებთან, საკანონმდებლო ოფისებთან და მედია კონტაქტებთან.   |
| <a href="#">24.08.2012</a>                              | ბიძინა ივანიშვილი                                   | Citizens for Democracy in Georgia | -           | ღია, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია ვებ-გვერდებისა და სოციალური მედიის საშუალებით.   |
| <a href="#">22.08.2012</a>                              | საქართველოს მთავრობა                                | LynxDC LLC                        | -           | 1. როგორც Orion Strategies სუბკონტრაქტორი, Lynxdc გასცემს სტრატეგიულ რჩევებსა და საკონსულტაციო მომსახურებებს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწვერიანებასთან, მათ შორის NATO-ს კანდიდატობასთან დაკავშირებით;<br>2. სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და საზოგადოებრივ საქმეთა ძალისხმევის მხარდაჭერა. საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და აქტივობებზე ამერიკისა და ევროპაში, ამერიკაში მოღვაწე გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება.  |
| <a href="#">07.08.2012</a> - <a href="#">10.01.2013</a> | ბიძინა ივანიშვილი                                   | National Strategies, LLC          | 2 040 000\$ | ხელშეკრულება დაილო National Strategy LLC-სა ბიძინა ივანიშვილს შორის. აქტივობები მოიცავდა ფედერალურ და მედია ლობირებას. ბიძინა ივანიშვილის კამპანიის მხარდაჭერა და მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოსთვის და აშშ-ს მთავრობისთვის. პროაქტიური მედია კამპანიის წარმოება, რომელიც მიმართული იქნებოდა ეროვნულ მედია საშუალებებსა და opinion maker-ებზე, კონსულტანტი ასევე ორიენტირებული იყო დამქირავებლის მესიჯი მიწოდებინა კონგრესის ლიდერებისა და პერსონალისთვის, საქართველოში მყოფი გავლენიანი პირებისთვის, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ლიდერებისთვის და პრესისთვის.  |

|  |                                  |  |                  |   |
|--|----------------------------------|--|------------------|---|
| <p><a href="#">08.07.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">10.18.2012</a><br/>2</p> | <p>ბიძინა ივანიშვილი</p>         | <p>Parry and Romania Assoc., Inc</p>             | <p>30.000\$</p>  | <p>ხელშეკრულება დაილო National Strategy LLC-სა და Parry and Romani Associates-ს შორის. რეგისტრაციის ძირითადი მოვალეობა ბიძინა ივანიშვილის სახელზე დარეგისტრირებული - NCI-ს - აქციონერების განხორციელებაში დახმარება იყო. აღნიშნული მოიცავდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მხარდაჭერას საქართველოში, ბიძინა ივანიშვილისთვის კონსულტაციის გაწევას მისი საქართველოს მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიწოდება კონგრესისა და ადმინისტრაციისთვის ივანიშვილის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, ასევე მის მფლობელობაში არსებული "ქართუ ბანკის" მიმართ დაწესებულ შეზღუდვებზე. მოვალეობები ასევე მოიცავდა კონგრესის წევრებთან, პერსონალთან და ობამას ადმინისტრაციასთან კონტაქტს.</p> |
| <p><a href="#">10.01.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">10.03.2012</a><br/>2</p> | <p>ბიძინა ივანიშვილი</p>         | <p>Downey McGrath Group</p>                      | <p>75.000\$</p>  | <p>Downey McGrath Group ფუნქციონირებდა National Strategies LLC-ის ხელმძღვანელობით. მათი მიზანი იყო ბიძინა ივანიშვილისა და მის საკუთრებაში არსებული დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და აღმასრულებელი შტოსთვის. ასევე ეცნობებინათ თანამდებობის პირებისთვის ბიძინა ივანიშვილისა და მისი სურვილის შესახებ, რომ საქართველოში ჩატარებულიყო დემოკრატიული არჩევნები.</p>  |
| <p><a href="#">01.08.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">31.12.2012</a></p>       | <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> | <p>Orion Strategies</p>                          | <p>270.000\$</p> | <p>1. დაქირავებული კომპანია რჩევებსა და კონსულტაციებს აძლევდა საქართველოს, დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციასთან, მათ შორის NATO-ს კანდიდატ წევრად გახდომასთან დაკავშირებით<br/>2. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში სტრატეგიული კომუნიკაციის, სამთავრობო ურთიერთობებისა და საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებული აქტივობების კუთხით რჩევებისა და მხარდაჭერის გაწევა.</p>   |
| <p><a href="#">01.07.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">31.12.2012</a></p>       | <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> | <p>Gephardt Group</p>                            | <p>180.000\$</p> | <p>1. საქართველოს მთავრობისთვის, უშიშროების საბჭოსთვის სტრატეგიული რჩევების მიცემა, ლობირება და სამთავრობო ურთიერთობების გაღრმავებაში დახმარება;<br/>2. აშშ-ის აღმასრულებელ შტოსა და კონგრესის წინაშე საქართველოს ადვოკატირება თავისუფალი ვაჭრობისა და დემოკრატიის საკითხების შესახებ;<br/>3. წინასაარჩევნო საკითხების ორგანიზებაში დახმარება.</p>  |
| <p><a href="#">01.06.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">19.12.2012</a><br/>2</p> | <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> | <p>Prime Policy Group</p>                        | <p>150.000\$</p> | <p>1. აშშ-ის სენატისა და თეთრი სახლის ადმინისტრაციის წინაშე საქართველოს მთავრობის ადვოკატირება და დახმარება ორმხრივი ინტერესების საფუძველზე, რაც მოიცავს ვაჭრობას, დემოკრატიას, პოლიტიკას, ნაგოში ინტეგრაციასა და სხვა საკითხებს;<br/>2. მიზნის შესრულების საშუალებები განსხვავებულია და მოიცავს: ოფიციალურ შეხვედრებს, საგლეჯონო საუბრებს, კორესპონდენციას აშშ-სა და ქართველ ოფიციალურ პირებს შორის.</p>   |
| <p><a href="#">01.01.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">31.12.2012</a></p>       | <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> | <p>Maniatis, Gregory A/The Ithaca, Group LLC</p> | <p>360.000\$</p> | <p>1. სტრატეგიული კომუნიკაციების მეთოდების განვითარებაში დახმარება. საჯარო გამოსვლების, სტატიების, დოკუმენტების შედგენაში დახმარების გაწევა, რჩევების მიცემა აშშ-ში საზოგადოებასა და სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობების კუთხით;<br/>2. საქართველოს მთავრობისთვის კონსულტაციის გაწევა გასაგარეებელ პოლიტიკასთან და აქტივობებთან დაკავშირებით, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის კუთხით. ეს რჩევები გადაეცემა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წამყვან ოფიციალურ პირებს, მათ შორის, პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, სხვა ოფიციალურ პირებს საჭიროებისამებრ, ან მოთხოვნის შემთხვევაში.</p>   |
| <p><a href="#">01.02.2012</a><br/>2 –<br/><a href="#">31.12.2012</a></p>       | <p>ეროვნული უშიშროების საბჭო</p> | <p>Podesta Group</p>                             | <p>600.000\$</p> | <p>1. დაქირავებული ჯგუფი მუშაობდა სამთავრობო ურთიერთობების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია მენეჯმენტის კუთხით. აღნიშნულ სერვისებთან შესაბამისად Podesta Group ასევე იყო საგარეო წარმომადგენელი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან, აღმასრულებელ შტოსთან და მედიასთან.<br/>2. მათი მოვალეობები მოიცავდა ყოველთვიური ანგარიშის წარდგენას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთვის.</p>  |
| <p><a href="#">01.31.2012</a></p>  | <p>საქართვე</p>                  | <p>HDMK LLC</p>                                  | <p>27.764\$</p>  | <p>1. ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც უკავშირდება საქართველოს განათლების</p>   |



|                           |  |                      |           |  |
|---------------------------|--|----------------------|-----------|--|
| 2                         | ლოს განათლები<br>სა და მეცნიერების<br>სამინისტრო |                      |           | სისტემის პოპულარიზაციას აშშ-ში;<br>2. კონსულტაციების გაწევა საქართველოში ამერიკული უნივერსიტეტის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით.<br>3. ქართულ სკოლებში ინგლისურენოვანი პროგრამების ხელშეწყობა და ამ კუთხით სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.   |
| 10.01.2012-<br>30.06.2012 | საქართველოს<br>მთავრობა                          | Orion Strategies LLC | 270.000\$ | 1. Orion Strategies LLC-ის მიერ საქართველოს დასავლეთში სრული ინტეგრაციის კუთხით რჩევებისა და კონსულტაციების გაწევა;<br>2. Orion Strategies მოვალეობებია დახმარების, რჩევების მიცემა და მხარდაჭერა სტრატეგიული კომუნიკაციების, სამთავრობო და საჯარო ურთიერთობების განვითარებასა და მასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, რომ დაეხმაროს საქართველოს დასახული მიზნების მიღწევაში. |

საქართველოს პრემიერის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის განმავლობაში საქართველოს პრემიერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა რამდენიმე ლობისტურ და კვლევით ორგანიზაციაზე გადახდილია. მაგალითად, ადმინისტრაციის დაკვეთით სამჯერ ჩატარდა სამოგალოებრივი ამრის კვლევა Greenberg Qualing Rosner Research-ის მიერ. ორგანიზაციამ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით რეკომენდაციებიც შეიმუშავა, მომსახურებაში კი პრემიერის ადმინისტრაციამ ჯამში \$529.695 დახარჯა, კვლევის შედეგები კი ძირითადად, საერთაშორისო მედიაში გამოსაქვეყნებლად გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით საკონსულტაციო მომსახურებას პრემიერის ადმინისტრაციას ორი ორგანიზაცია უწევდა, The Ithaca Group LLC და ფრანგულ კომპანია NOE CONSEIL. პირველ ორგანიზაციას მომსახურების სანაცვლოდ \$200.000, ხოლო ფრანგულ კომპანიას EUR200.000 გადაერიცხა.

### დასკვნა

პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობისთვის ლობისტური მომსახურების მიღება დამკვიდრებული პრაქტიკაა. ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ლობიზმი გარკვეულ კორუფციულ რისკებთანაა დაკავშირებული, ევროპასა და აშშ-ში ის სულ უფრო მზარდი ინტერესის საგანია და ამ სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სხვადასხვა საშუალება იქმნება. მაგალითად, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზასა <http://www.fara.gov/> და მასზე დაყრდნობით შექმნილ სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმაზე (<https://www.opensecrets.org/lobby;> <http://foreign.influenceexplorer.com/>) ხელმისაწვდომია ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მიერ მიღებულ ლობისტურ მომსახურებებზე.

ევროკავშირში მიმდინარე ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლიდან მოქმედებს “საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ შექმნილი პორტალი <http://www.integritywatch.eu/>, სადაც რეგისტრირებული ლობისტების, მათ მიერ გამართული შეხვედრებისა და განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული.

საქართველოში საზღვარგარეთ მიღებულ ლობისტურ მომსახურებაზე ინფორმაცია გაუმჭვირვალეა. მედიისთვის, სამოგალოებისთვის, პოლიტიკური თუ აკადემიური წრეებისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებისთვის ლობისტური ორგანიზაციების დაქირავება მიღებული პრაქტიკაა, თუმცა ამ ტიპის დანახარჯებსა და მომსახურების შინაარსზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რისკის გამოსარიცხად, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაცია ყიდულობს ლობისტურ მომსახურებას, ხოლო ლობისტური მომსახურების/დავალების შინაარსი შესაძლოა ემსახურებოდეს არა სამოგალოების, არამედ მმართველი პარტიის ინტერესებს.

**შენიშვნა:** სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ლობისგური მომსახურების სანაცვლოდ გაწეული დანახარჯების ოდენობა გარკვეულწილად განსხვავდება. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ლობისგური მომსახურებების საჯაროდ ხელმისაწვდომი სახელშეკრულებო ღირებულებები (და არა ფაქტობრივი გადახდები). ამასთან, ვინაიდან კონგრაქცებში მომსახურების საერთო თანხა ყოველთვის მკაფიოდ მითითებული არ არის, ხოლო რიგ შემთხვევაში კონგრაქცის ხანგრძლივობა ან დამკვეთი/გაღამხდელი იცვლება, გამოთვლები შესაძლოა მცირე უზუსტობებს შეიცავდეს.